

იმოქმედეთ გარიყვისა  
და ბულინგის  
აღმოსაფხვრელად  
ონლაინ- და  
ოფლაინსივრცეში!



პედაგოგებს



COUNCIL OF EUROPE



CONSEIL DE L'EUROPE



# ჩართულობა ონლაინსივრცეში

## წვდომა და ჩართულობა

არც ერთმა ბავშვმა არასდროს არ უნდა იგრძნოს თავი გარიყულად, არც ონლაინ და არც ოფლაინსივრცეში.



შექმენით პოზიტიური გარემო თქვენს სკოლაში ისე, რომ ყველა მოსწავლე სარგებლობდეს თანაბარი შესაძლებლობებით, განურჩევლად სქესისა, შეზღუდული შესაძლებლობებისა, რასისა თუ კულტურისა.

## სწავლა და შემოქმედებითობა

ბავშვები უკეთ სწავლობენ, აგრეთვე ბუღინგის ნაკლები შემთხვევა იჩენს თავს მშვიდ, მეგობრულ გარემოში, სადაც მათ თავისუფლად შეუძლიათ თვითგამოხატვა და სადაც სჯერათ, რომ მათ იდეებს და შემოქმედებას ანგარიშს უწევენ.



დანერგეთ კლასში ჯგუფური მუშაობა და ერთობლივი აქტივობები;



დაეხმარეთ მოსწავლეებს მოუსმინონ და პატივი სცენ სხვის იდეებს, აგრეთვე, გააცნობიერონ სხვების მიმართ სამართლიანობის მნიშვნელობა.

## მედია- და ინფორმაციული წიგნიერება

ინტერნეტი, ეს არის ღია სივრცე, სადაც ჩვენ შეიძლება ხშირად გადავანყდეთ სიძულვილის ენას და შეურაცხყოფელი შინაარსის მქონე მასალას. ბავშვებმა უნდა იცოდნენ, რატომ და როგორ დაარეპორტონ ან დაბლოკონ ზიანის შემცველი მასალა.




კლასში წაიკითხეთ ონლაინსტატია, რომელიც ხელს უწყობს რასიზმის ან სიძულვილის ენის გავრცელებას. წაახალისეთ საკლასო დებატი ან დისკუსია, იმისათვის, რომ დააფიქროთ მოსწავლეები მის მავნე გავლენაზე და იმაზე, თუ როგორ იმოქმედონ, როცა მსგავს მასალას გადააწყდებიან ინტერნეტში.

# კეთილდღეობა ონლაინსივრცეში



## ეთიკა და ემპათია

ბულინგის პრევენცია შესაძლებელია, თუ ჩვენ, ყველა, ვცდებით გავიგოთ და პატივი ვცეთ სხვის გრძნობებსა და შეხედულებებს.

-  იმსჯელეთ ბულინგის სხვადასხვა ფორმებზე (გარიყვა, ემოციური და ფიზიკური შევიწროება...) და სთხოვეთ მოსწავლეებს დაფიქრდნენ იმაზე, თუ როგორ იგრძნობდნენ თავს მსხვერპლის ადგილას.



## ჯანმრთელობა და კეთილდღეობა

თქვენი შვილებისათვის, მნიშვნელოვანია, იზრდებოდნენ ისეთ სახლსა თუ სასკოლო გარემოში, სადაც ისინი უსაფრთხოდ და დაცულად იგრძნობენ თავს.

-  წაიკითხეთ გამონათქვამები, რომლებსაც ბავშვები ჩვეულებრივ იყენებენ თამაშისას და თითოეულ გამონათქვამზე დაახატინეთ მოსწავლეებს მათი გრძნობების გამომხატველი ღიმილაკები;
-  ინტერპრეტაციების დასანახვებლად, შეადარეთ მათი ღიმილაკები.

## ინტერნეტსივრცეში თავის წარმოჩენა და კომუნიკაცია


პატივისცემით ურთიერთობის უნარი ციფრულ მოქალაქობის მნიშვნელოვანი ნაწილია.

-  ახსენით, რა არის ციფრული ნაკვალევი და შესაძლო უარყოფითი ციფრული ნაკვალევის გავლენა სამომავლო კარიერულ შესაძლებლობებზე.
-  იმსჯელეთ ქცევის ტიპებზე, რომლებიც შეიძლება უარყოფითად აისახოს ჩვენს ციფრულ ნაკვალევში.

# ონლაინუფლებები


## აქტიური მონაწილეობა

ბულინგს აქვს სამუდამო შედეგები ჯანმრთელობის, სოციალური და ეკონომიკური კეთილდღეობის თვალსაზრისით, როგორც მოძალადეებისთვის, ასევე მათთვის, ვინც ხშირად ხდება ძალადობის მსხვერპლი.

 სთხოვეთ მოსწავლეებს გაითამაშონ ბულინგის რამდენიმე ინციდენტი. მონაცვლეობით მოირგონ მოძალადის, მსხვერპლისა და მაყურებლის როლები, რომლებიც ცდილობენ ინციდენტის შეჩერებას. ეს მათ აიძულებს დაფიქრდნენ თავიანთ ქმედებებზე რეალურ ცხოვრებაში.


## უფლებები და მოვალეობები


ყველას აქვს უფლება იყოს პატივცემული და პასუხისმგებლობით მოეკიდოს სხვებს, ისე, როგორც სურს მოექცნენ მას.

 სკოლაში ან კლასში შეიმუშავეთ ბულინგის საწინააღმდეგო პოლიტიკის დოკუმენტი, რომელსაც მოსწავლეებმა და მასწავლებლებმა უნდა მოაწერონ ხელი. მასში უნდა იყოს ჩამოთვლილი მოსწავლეთა უფლებები და მოვალეობები ერთმანეთის მიმართ ქცევასთან დაკავშირებით და ნათლად უნდა ასახავდეს მიუღებელი ქცევის შედეგებს.

## კონფიდენციალურობა და უსაფრთხოება

წინდაუხედავი ქცევა ინტერნეტში და პერსონალური მონაცემების გამოქვეყნება, შესაძლო შედეგებზე თქვის გარეშე, შეიძლება გახდეს ბულინგის მიზეზი.


 სთხოვეთ თქვენს მოსწავლეებს დაბეჭდონ თავიანთი სოციალური მედიის პროფილის ინფორმაცია ან ონლაინფოტოალბომი და გამოფინონ სკოლაში თვალსაჩინო ადგილას;

 თუ ისინი თავს არაკომფორტულად გრძობენ ამის გაკეთებით, აუხსენით, რომ თუკი არ მიიღებენ შესაბამის ზომებს, მილიონობით ადამიანს შეეძლება ინტერნეტში მათი ინფორმაციის ნახვა და გამოყენება მათ წინააღმდეგ.

# ონლაინუფლებები

## სამომხმარებლო ცნობიერება

ბავშვები დიდი სარეკლამო სამიზნეები არიან და ოჯახებმა ეს უნდა გააცნობიერონ. მათი ყოველი მოთხოვნის დაკმაყოფილებამ, როდესაც საქმე ეხება უახლეს ტრენდებს ან გაჯეტებს, შეიძლება ბავშვს თავი განსაკუთრებულად აგრძნობინოს, რაც ნაკლებად მგრძნობიარეებს ხდით სხვების მიმართ.

 კლასში გამოიყენეთ რამდენიმე პოპულარული ონლაინ- ან ოფლაინრეკლამა, რათა წამოიწყოთ დისკუსია იმის შესახებ, თუ როგორ მოქმედებს რეკლამა ჩვენზე და რა გავლენას ახდენს ის ნაკლებად ილბლიან ადამიანებზე.

დაეხმარეთ თქვენს მოსწავლეებს მეტი მოქნილობით გაუმკლავდნენ სოციალურ გამონვევებს.

ევროპის საბჭოს სხვა პუბლიკაციები ციფრული მოქალაქეობის სწავლების შესახებ

- ▶ Educating for a video game culture – A map for teachers and parents (2021)
- ▶ Digital citizenship education - Trainers' Pack (2020)
- ▶ Digital Citizenship Education – Lesson plans for educators available at <https://www.coe.int/en/web/education/new-materials>
- ▶ Digital Citizenship Education Handbook (2019)
- ▶ Bullying: perspectives, practice and insights (2017)
- ▶ Internet Literacy Handbook (2017)

დამატებითი ინფორმაცია ხელმისაწვდომია აქ: [www.coe.int/education](http://www.coe.int/education)

**ავტორები:**  
**Janice Richardson**  
**Veronica Samara**

**თარგმნილია:**  
**მასწავლებელთა**  
**პროფესიული**  
**განვითარების**  
**ეროვნული ცენტრის**  
**მიერ**



PREMS 148721

**KAT**

[www.coe.int](http://www.coe.int)

ევროპის საბჭო არის ადამიანის უფლებათა მოწინავე ორგანიზაცია კონტინენტზე. იგი 47 წევრი სახელმწიფოსაგან შედგება, რომელთა შორისაა ევროკავშირის ყველა წევრი ქვეყანა. ევროპის საბჭოს ყველა წევრმა სახელმწიფომ ხელი მოაწერა ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციას - ხელშეკრულებას, რომლის ძირითად მიზანს ადამიანის უფლებების, დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის დაცვის უზრუნველყოფა წარმოადგენს. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ზედამხედველობს კონვენციის შესრულებას წევრ სახელმწიფოებში.

COUNCIL OF EUROPE



CONSEIL DE L'EUROPE